თავისუფლების ქანდაკება

თავისუფლების ქანდაკება ხშირად ჩანს ამერიკის ფოტოებსა და ტელეეკრანზე. დააკვირდი სურათს და აღწერე ქანდაკება.

ეს ქანდაკება დგას ნიუ-იორკში, თავისუფლების კუნძულზე. ქანდაკება გაიხსნა 1886 წლის 28 ოქტომბერს. ის ფრანგმა ხალხმა აჩუქა ამერიკელ ხალხს.

ქანდაკებას ერთ ხელში ჩირაღდანი უჭირავს, მეორეში კი – ქვის დაფა. დაფაზე წერია: „4 ივლისი, 1776 წელი“. ეს არის დღე, როდესაც აშშ **დამოუკიდებელი** გახდა. ქანდაკების სიმაღლე 93 მ-ია. კარგ ამინდში ის რამდენიმე კმ-იდან ჩანს. ადრე მას **შუქურის** დანიშნულება ჰქონდა. აშშ-ში ჩამოსული ადამიანი პირველად ამ ქანდაკებას ხედავდა.

ქანდაკება საფრანგეთში შექმნეს 1876 წელს. მისი ავტორია ფრედერიკ ბარტოლდი. ქანდაკება 350 ნაწილად დაშალეს და 214 ყუთში **მოათავსეს**. ასე წაიღეს იგი ამერიკაში. ამას რამდენიმე წელი დასჭირდა. ამერიკაში კი ქანდაკება ოთხ თვეში ააწყვეს.

თავისუფლების ქანდაკებას ხატავენ საფოსტო ბარათზე, სხვადასხვა **სუვენირზე,** ტანსაცმელზე. ამ ულამაზესი ქანდაკების სანახავად ნიუ-იორკში მილიონობით ტურისტი ჩადის.

რა არის შენთვის ყველაზე საინტერესო ამ ტექსტში?

დონე: *B* *გარდამავალი,* **კომპონენტი:** *მიზანი და შედეგი*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რა ინფორმაციას ვიგებთ პირველი აბზაციდან?

ა) რატომ აჩუქეს ამერიკელებს ქანდაკება.

ბ) როგორ დადგეს ქანდაკება კუნძულზე.

გ) სად დგას თავისუფლების ქანდაკება.

2 რატომ წერია ქანდაკებაზე: „4 ივლისი, 1776 წელი“.

ა) ამ დღეს გახდა ამერიკა დამოუკიდებელი.

ბ) ამ დღეს დაიდგა კუნძულზე ქანდაკება.

გ) ამ დღეს ჩაიტანეს ქანდაკება ამერიკაში.

3 ძველად ქანდაკებას შუქურის დანიშნულება ჰქონდა, რადგან:

ა) ის თავისუფლების კუნძულზე დგას.

ბ) ის რამდენიმე კილომეტრიდან ჩანს.

გ) მას ხელში ჩირაღდანი უჭირავს.

4 რატომ აინტერესებთ ტურისტებს ქანდაკების ნახვა?

ა) ის ცნობილმა მოქანდაკემ შექმნა.

ბ) ის ძალიან დიდი და ლამაზია.

გ) მას საინტერესო ისტორია აქვს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. 1776 წლის 4 ივლისი არის აშშ-ის **<u>დამოუკიდებლობის</u>** დღე.
   ა) თავისუფლების. ბ) გაერთიანების. გ) გამარჯვების.

2. ქანდაკებას ხატავენ **<u>სუვენირზე</u>.**
   ა) ულამაზეს ნივთზე. ბ) სამახსოვრო ნივთზე. გ) ძველ ნივთზე.

3. დაშლილი ქანდაკება 214 ყუთში **<u>მოათავსეს</u>.**
   ა) დამალეს. ბ) შეინახეს. გ) ჩააწყვეს.

2 დაასრულე განმარტება.

შუქურა არის კოშკი, რომელიც გემებისთვის დგას ზღვის ან ოკეანის სანაპიროზე და გამოსცემს ----------.

ა) სასიგნალო შუქს.
ბ) სასიგნალო ხმას.
გ) სხვადასხვა ბგერას.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. ქანდაკება გაიხსნა 28 ----------.
   ა) ოქტომბერი. ბ) ოქტომბერს. გ) ოქტომბრში.

2. თავისუფლების ქანდაკებას ხატავენ საფოსტო ----------.
   ა) ბარათზე. ბ) ბარათთან. გ) ბარათში.

3. ---------- შუქურის დანიშნულება აქვს.
   ა) ის. ბ) მან. გ) მას.

2 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

ქანდაკება **<u>საფრანგეთ . . .</u>** შექმნეს.

გრამატიკა

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

ქანდაკება რამდენიმე ---------- ჩანს. ***(კილომეტრიდან/კილომეტრისგან)***

4 რომელია სწორი?

1. ა) ხალხმა აჩუქა. ბ) ხალხმა აჩუქეს.
2. ბ) რამდენიმე წლები. ბ) რამდენიმე წელი.
3. ბ) სანახავათ. ბ) სანახავად.

წერა

1 წარმოიდგინე, რომ ხარ ჟურნალისტი და იღებ ინტერვიუს ორი ადამიანისაგან: მოქანდაკე ბარტოლდისა და ამერიკელი მოქალაქისაგან. დაწერე 3-4 შეკითხვა, რომლებსაც დაუსვამდი თითოეულს.

I. შეკითხვები მოქანდაკე ბარტოლდისთვის:

II. შეკითხვები ამერიკელი მოქალაქისთვის: